



შირაკი

SHIRAKI

www.open.ge

გამოცემის 1937 წლიდან

დადოქტორის მუხომბარტველობის გაზეთი

№3 (9.617)

8-15 თებერვალი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირული გამოცემა

დემოკრატიის ლაბუნსი-კლიერი თვითმმართველობა



რეალური თვითმმართველობა სოფლად და ქალაქად!

რამდენიმე თვეში საქართველო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ემზადება. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი თარიღი ჯერ არ დასახელებულა, საზოგადოებაშიც გააქტიურდა მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, როგორ უნდა იყოს თვითმმართველობის ახალი მოდელი. ხშირია აზრთა სხვადასხვაობა და აჟიოტაჟიც. გაზეთი „შირაკი“ დაინტერესდა, რამდენად ეფექტურია ამჯერად მოქმედი თვითმმართველობის სისტემა და ამ კუთხით რა შენიშვნები აქვთ დედოფლისწყაროელებს. მეტი ობიექტურობისთვის, რესპოდენტებად ძირითადად ისეთი

ადამიანები შევარჩიეთ, რომელთაც თვითმმართველობის ორგანოებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ, ამჯერად კი პროცესებს გარედან ადევნებენ თვალყურს. შევეცადეთ გაგვეჩვენოთ, რა ხარვეზებს ხედავენ ისინი თვითმმართველობის სისტემაში და მისი გაძლიერებისთვის რა ბერკეტების ჩადებას ისურვებდნენ ისინი.

„გამგებლის თანამდებობა არჩევითი უნდა იყოს“ — ასეთ განცხადებას ბიზნესექტორის წარმომადგენელი გოგი კიკილაშვილი აკეთებს. მან თვითმმართველობის ამჟამად მოქმედ სისტემაზე და გასატარებელ ცვლილებებზეც ვრცლად ისაუ-

არჩევითი. ასევე, აუცილებელია სასწრაფოდ მოხდეს დელეგირება და გამიჯვნა სახელმწიფო ქონებისა და მუნიციპალური ქონებისა. დედოფლისწყაროს მაგალითზეც ბევრი რამაა გასარკვევი, რომელი ობიექტები ეკუთვნის მუნიციპალიტეტს და რომელი სახელმწიფოს. ეს საკითხიც აუცილებლად დასარეგულირებელია. ვფიქრობ, ეს ნაბიჯები თვითმმართველობას ნამდვილად გააჯანსაღებდა.

საერთოდ, რა დონეზეც იქნება საზოგადოებრივი თვითშეგნების, სამოქალაქო აქტივობის ხარისხი, ისეთ თვითმმართველობას მივიღებთ... ის,

რომ ამჯერად საკრებულოში დისკუსია არ გვაქვს და აზრთა სხვადასხვაობის გარეშე ხდება საკითხების განხილვა-დამტკიცება, ეს გარემო შექმნა წინა ხელისუფლებამ, რომელიც ასეთ პოლიტიკას ახორციელებდა. ადრე თუ ასეთი სისტემა იყო, საპრეზიდენტო არჩევნებზე განსხვავებული სურათი მივიღებთ. რამდენიმე თვეში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გველად და იმედი მაქვს, რომ გაცილებით მშვიდ გარემოში ჩაივლის და თუ დედოფლისწყაროს საკრებულოში მშვიდი ადამიანები შევლენ, დამერწმუნეთ, მათ აზრის გამოთქმის საშუალებაც ექნებათ. კარგად ვიცი, ამ დრომდე პარტიული სიების შედგენა რა ნიშნით მიმდინარეობდა და შედეგიც ასეთი მივიღებთ.

დღევანდელი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ადამიანებს სასაპარეზო მოედნის არსებობა დაანახონ. ვისაც უნდა, რომ ამ ველზე იჭიდაოს, შეუძლია გამოვიდეს და კაცურად, ადამიანურად, მშვიდად ჩაერთოს პროცესში. მიმაჩნია, რომ სამოქალაქო აქტივობა აუცილებელია, — აღნიშნა გოგი კიკილაშვილმა.

შეგახსენებთ, კიკილაშვილი წლების განმავლობაში, დედოფლისწყაროს თვითმმართველობის ორგანოში საკმაოდ მაღალ თანამდებობებს იკავებდა.

თვითმმართველობის მოქმედ სისტემას ყოფილი ჟურნალისტი მანანა ყატაშვილიც აფასებს და არსებული მოდელის ცვლილების აუცილებლობაზე საუბრობს. მისი თქმით, ახალი კოდექსი ვითარებას ბევრად გააუმჯობესებს.

„თვითმმართველობის ორგანოს ეფექტურობას განსაზღვრავს ის, თუ რამდენად შეუძლია მას კონკრეტული ადამიანების პრობლემების გადაჭრა. როდესაც შექმნა თვითმმართველობის დღეს მოქმედი ორგანული კანონი, დიდი ხნის მანძილზე ვითარდებოდა და იხვეწებოდა. ამ პროცესში გაუმჯობესებისკენ კი არ მიდიოდა, პირიქით. კარგი მუხლები ნელნელა ამოიღეს, გარკვეული ფუნქციები, რომლებიც ექსკლუზიურად ჰქონდა გა-

დაცემული თვითმმართველობას, ეტაპობრივად აკლდებოდა. საბოლოო ჯამში მივიღებთ თვითმმართველობა, რომელსაც თითქმის არანაირი უფლება არ დარჩა. განვითარება და გაუმჯობესება აუცილებლად სჭირდება, რათა თვითმმართველობის ორგანომ რეალურად შეასრულოს საკუთარი ფუნქციები.

რამდენიმე წლის წინ თვითმმართველობის სისტემიდან ჩემი წამოსვლა ძირითადად იმას უკავშირდებოდა, რომ ერთი უუნადი არ აღმოჩნდით. როდესაც ხედავ, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ თუ ვერ სრულდება, ხედავ, რომ აზრი არ აქვს. რაც შეეხება ახლა დაგეგმილ ცვლილებებს, მე გავეცანი თვითმმართველობის კოდექსს, რომელიც ახლა პარლამენტში განხილვის პროცესშია. თვითმმართველობას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ის ფუნქციები, რაც ადგილზე შეიძლება გადაიჭრას და ამისთვის საჭირო ქონება, თუ ფინანსური სახსრები. ჩემი აზრით, დაუშვებელია, ითქვას, რომ თვითმმართველობას ძირითადი შემოსავალი ჰქონდეს ადგილობრივი ქონების განკარგვიდან და კანონში ჩაინეროს რომ ქონების ნუსხას საქართველოს პრეზიდენტი განსაზღვრავს და ყოველთვიურად ამ ნუსხას გარკვეული ობიექტები გამოაკლდეს. ანუ, ჯერ მოგცემენ, შემდეგ გაირკვევა, რომ რეალურად არაფერს გაძლევენ.

საშუალება მქონდა გავცნობოდი ახალ კოდექსს. ვფიქრობ, რომ თვითმმართველობის ახალი მოდელი არსებულ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გამოასწორებს, რადგან ადგილზე დიდი უფლებები და მეტი რესურსი ექნება თვითმმართველობას, — აღნიშნავს ყატაშვილი.

მანანა ყატაშვილი, მედიაში მუშაობის შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში დედოფლისწყაროს გამგეობასა და საკრებულოში სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობდა.

რესპოდენტების სრული უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოში სხვადასხვა საკითხების დისკუსიისა და კამათის

(გაგრძელება გვ. 2)

**პაპრიარქა
საგვადლოებას ხარისხი
აუბაღლა**

გვ. 7

**რომალი სკოლის
დირექტორი
შინარჩუნებს სკამს?!**

გვ. 8

**დედოფლისწყაროს
გაგებლის
კონკურსის
პირველი ეტაპი
დასრულდა**

გვ. 2

**მანანალა კალუპი
- ჩვენი თავსატეხი და
პრობლემა**

გვ. 4

„ნარსულის ფესვები“ საპილოტე პროექტებს იწყებს

არასამთავრობო (საქველმოქმედო) ფონდი „ნარსულის ფესვები“ დედოფლისწყაროში საპილოტე პროექტებს იწყებს. მისი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი წარმოშობით დედოფლისწყაროელი ზურაბ ქადაგიძე გახლავთ. როგორც ის განუთქმობს, „შირაქთან“ საუბარში ამბობს, ის ამ ორგანიზაციის საგანმანათლებლო და კულტურული განხრით ორგანიზატორი და კოორდინატორია. „ორგანიზაციის მიზნებს წარმოადგენს ეკლესია-მონასტრების რეაბილიტაცია-მშენებლობაში წვლილის შეტანა, ტრადიციული ქართული სპორტული სახეობების (სრიდოლი, ქართული ჭიდაობა), ტრადიციული კახური ხელსაქმობის, მევენახეობა-მეღვინეობის პოპულარიზაცია, ახალგაზრდა თაობის ინფორმირებულობის მიზნით ლექციების კურსის ჩატარება“.

როგორც ზურაბმა განუთქმობს, „შირაქთან“ საუბარისას განაცხადა, ღონისძიებების მიზანი გახლავთ ახალგაზრდა თაობის ერუდიციის დონის განსაზღვრა. „კონკურსი „საუკეთესო თავისუფალი თემა“ გათვლილია ბავშვის ინდივიდუალურ აზროვნებაზე, ფანტაზიაზე და მის მიზანს

წარმოადგენს იმის გამოვლენა, თუ რამდენად ნიჭიერი და განათლებულია დღევანდელი თაობა.

კონკურსში მონაწილეობა საჯარო სკოლების მაღალი კლასების მოსწავლეებმა მიიღეს მთელი რაიონის მასშტაბით. ჟიური დაკომპლექტდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებით, რომელთაც საუკეთესო თემა უნდა შეერჩიათ. კონკურსის 50 მონაწილიდან პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულებს ფულადი ჯილდოები და სიგელები გადაეცათ, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე ადგილის მფლობელები კი ნიგნებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ. ყველა მონაწილეს სიგელი გადაეცა.

პირველ ადგილზე გასულ ლიკა ლოლაშვილს (ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა) 100 ლარი, მეორე ადგილის მფლობელ დარეჯან გოგაშვილს (არბოშიკის საჯარო სკოლა) 70 ლარი, მესამე ადგილის მფლობელ ნათია კობახიძეს (ზემო ქედის საჯარო სკოლა) კი 50 ლარი გადაეცათ.

მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ადგილები წილად ხვდათ ანა ყანჩაშვილს (ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა), სალომე ბარამაშვილს (ქვემო ქედის საჯარო სკოლა), თინათინ გაბიდაურს (სამრეკლოს საჯარო სკოლა).

როგორც ღონისძიების ორგანიზატორმა აღნიშნა, დედოფლისწყაროელმა მოსწავლეებმა განათლების საკმაოდ მაღალი დონე აჩვენეს, მათმა ერუდიციამ და თემისადმი საინტერესო მიდგომამ ორგანიზატორთა მოლოდინს გადააჭარბა. თავისუფალი თემის სათაური კი საკმაოდ ფილოსოფიურად ჟღერდა- გზა. ბავშვებმა დავალებას მშვენივრად გაართვეს თავი და ამით ბევრმა მათგანმა საკუთარი ცხოვრების გზის დასაწყისსაც ჩაუყარა საფუძველი.

ზურაბ ქადაგიძის განცხადებით, ორგანიზაცია მომავალში უამრავ საინტერესო პროექტს განახორციელებს დედოფლისწყაროში. ამის იმედს წარმატებით ჩატარებული საპილოტე პროექტიც იძლევა და ის მხარდაჭერაც, რომელიც ღონისძიების ორგანიზატორებმა დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან იგრძნეს.

ინგა შიოლაშვილი



ვინ მიიღებს დაუბებრავ მიწიფებს?!

(მეხუთე გვერდიდან)

მიღების თაობაზე. ასევე ისინი აპროტესტებდნენ იმას, თუ რატომ არ გაიყვანა იმ მოსამსახურეებზე დაუბებრავი მიწიფები, ვისი წლიური ხელფასის საერთო რაოდენობა 6000 ლარს აჭარბებს?!

აღნიშნულზე ქალბატონმა მაიამ ამომწურავი პასუხი გასცა: „უპირველეს ყოვლისა მინდა მოგახსენოთ, რომ დასაქმებულთათვის დაუბებრავი მიწიფების დაბრუნება არ წარმოადგენს მე-13 ხელფასს, 2013 წლის 1 იანვარს საგადასახადო კოდექსში ამოქმედდა 81 პრიმა მუხლი დაუბებრავი მიწიფების შესახებ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება „ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავლიდან დაუბებრავი მიწიფების გამოქვითვის და თანხის დაბრუნების წესის“ შესახებ არასწორად იქნა გაგებული და არ წარმოადგენს კალენდარული წლის ბოლოს ფიზიკური პირის მიერ ასაღებ მე-13 ხელფასს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 81 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „პირი, რომლის მიერ ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 6000 ლარს, უფლებამოსილია, ამ შემოსავლიდან გამოიქვითოს დაუბებრავი მიწიფები-1800 ლარი“.

მოცემული რეგულაცია ეხება, როგორც კერძო სექტორში ასევე საჯარო სექტორში დასაქმებულ ფიზიკურ პირს. ინსტრუქცია გადასახადების ადმინისტრირების შესახებ (39-ის მეორე მუხლი) ითვალისწინებს შემდეგს: 1) იმ პირებს, რომლებიც კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით იღებენ 6000 ლარს ან ნაკლებს,

უფლება აქვთ მიიღონ დაუბებრავი მიწიფები-1800 ლარის 20%, რომელიც შეადგენს 360 ლარს. 2) ის პირები კი, რომელთა შემოსავალი წლის განმავლობაში 1800 ლარზე ნაკლებია სრულად მიიღებენ დასაბეგრი შემოსავლიდან დაუბებრავი მიწიფებს, ანუ მათ მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ხელფასის 20 %-ს. მაგალითად, თუ პირი კალენდარული წლის განმავლობაში იღებს 1700 ლარს, მას დაუბრუნდება ამ თანხის 20 %, რაც შეადგენს 340 ლარს“.

საყურადღებოა, რომ ფიზიკური პირისთვის ხელფასიდან დაბეგრილი თანხის დაბრუნება ხორციელდება დეკლარაციის შევსების საფუძველზე. დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარედგინება შესაბამისი კალენდარული წლის დასრულებიდან 3 თვის შემდეგ. მაგალითად 2013 წლის დაუბებრავი მიწიფების დეკლარირება ფიზიკურმა პირებმა უნდა მოახდინონ 2014 წლის 1 აპრილიდან. ამის შემდგომ პერიოდში საგადასახადო ორგანო გადაამოწმებს დეკლარაციაში მითითებული მონაცემების სისწორეს და შემდეგ დაუბრუნებს კანონით გათვალისწინებულ თანხას პირს პირად საბანკო ანგარიშზე (რომელიც მითითებული უნდა იქნეს დეკლარაციის შევსებისას). საქართველოს საგადასახადო კოდექსში და გადასახადების ადმინისტრირების შესახებ ინსტრუქციაში მოცემული ნორმები, დაუბებრავი მიწიფების გამოქვითვის შესახებ, შეეხება მხოლოდ მცირე ხელფასიან პირებს, რომელთა ხელფასის სახით მიღებული წლიური შემოსავალი არ აღემატება 6000 ლარს. საჯარო სკოლების ადმინისტრაცია ვალდებულია ყოველივე ზემოაღნიშნული გაცნოს საჯარო სკოლებში დასაქმებულებს. სმპთუ გამოთქვამს მზადყოფნას დეკლარაციების შევ-

სების და სხვა გაუგებრობების შემთხვევაში გაგინით შესაბამისი კონსულტაცია. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ ეძლევათ ისეთ მოსამსახურეებს დაუბებრავი მიწიფები, თუ მისი წლიური შემოსავალი ხელფასიდან 6000 ლარს სცილდება, ამაზე ქალბატონმა მაიამ კონკრეტული პასუხი გასცა. „რა ზღვარიც არ უნდა დანესებულყო, ნებისმიერ იმ წევრს, რომელიც ვერ მოხვდებოდა დაუბებრავი მიწიფების მიმღებთა სიაში, ექნებოდა პრეტენზია, ამიტომ ეს დაუსრულებელი პროცესია და ამაზე დავა ნამდვილად შორს წავიყვანს, ამ ეტაპზე სულ არაფერს სჯობია ისინი დაკმაყოფილდნენ, ვისაც მართლაც 6000 ლარზე დაბალი აქვს წლიური სახელფასო ანაზღაუ-

რება, ვისაც ამაზე მეტი აქვს, ის მოსამსახურე და პედაგოგი არც ისე გაჭირვებული იქნება.

ბოლოს გვინდა დავძინოთ, რომ სმპთუ საერთაშორისო დონეზე აღიარებული და დაცული პროფესიული კავშირია, რომელმაც მხოლოდ ოთხი წლის მანძილზე არაერთი სასამართლო პროცესი მოიგო. პედაგოგების ინტერესებიდან გამომდინარე, იგი არის ერთ-ერთი ძლიერი და სერიოზული გაერთიანება, რომელიც ამავდროულად არის ევროპის პროფკავშირის განათლების კომიტეტის წევრი, საქართველოში ხარისხიანი განათლების და დემოკრატიული პრინციპების უზრუნველსაყოფად თანამშრომლობს აშშ-ს შრომის საერთაშორისო სოლიდარობის ცენტრთან, ამერიკის

მასწავლებელთა ფედერაციასთან, შვედეთის მასწავლებელთა ფედერაციასთან, შვედეთის მასწავლებელთა ეროვნულ კავშირთან, პოლონეთის პროფკავშირული გაერთიანება „სოლიდარობასთან“, გახდით „საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წევრი, რათა საქართველოს შემთხვევაში დაუკავშირდეთ ან მიიღოთ მორალური, იურიდიული, სამართლებრივი დახმარება თუ კონსულტაცია ამ ორგანიზაციისგან, რათა თქვენი, როგორც პედაგოგის უფლებები არასოდეს შეილახოს. სმპთუ თქვენ ნებისმიერ დროს მოგისმენთ შემდეგ სატელეფონო ნომერზე, 0322 37 30 67.

ლალი მხრინიძე



ქვირფასო მკითხველებო!

თითქმის ორი ათეული წელია, ჩვენი გაზეთი „შირაქი“ სისტემატურად აქვეყნებს მასალებს საეკლესიო ცხოვრების წესის, სასულიერო დღესასწაულების, საეკლესიო მშენებლობების შესახებ, რომელსაც თან ახლავს ფოტომასალა ხატების, სხვა რიტუალების თუ მშენებლობათა მიმდინარეობის შესახებ. ადრე ამაზე არასოდეს დაფიქრებულვართ, არც არავის მოუცია შენიშვნა, არც არავის გამოუთქვამს აზრი, მაგრამ ამ რამდენიმე დღის წინ ერთი ნაცნობი ქალბატონი შემხვდა, რომელიც მორწმუნე ქრისტიანის ცხოვრებით ცხოვრობს და ამავე დროს ჩვენი გაზეთის ერთგული ხელმოწერი და მკითხველია. მან ასეთი რამ მითხრა: - დიდი სიამოვნებით ვკითხულობ თქვენს გაზეთში საეკლესიო ხასიათის წერილებს, ბევრ ისეთ რამესაც ვიკვებ, რაც არ ვიცო, მაგრამ ერთი უხერხულობა მანუხებს: იმ გაზეთს, სადაც ასეთი მასალა

არის მოთავსებული, წაკითხვის შემდეგ სხვა ვერაფერში ვიყენებ, მეკრძალება, თავს უხერხულად ვგრძნობ და მგონია, რომ ვცოდავ, თუ მას სხვა დანიშნულებით მოვიხმარ. ამიტომ, ვჭრი გაზეთიდან იმ ნაწილს და ერთად ფაილში ვინახავ, მაგრამ როდემდე ვაგრძელო ასე, არ ვიცი, როგორ მოვიქცე, რა არის უფრო მართებული. მისმა საუბარმა დამაფიქრა. მივხვდი, რომ ქვეცნობიერად ანალოგიური გრძნობა მეც მეუფლებოდა ხოლმე. ამ საკითხთან დაკავშირებით დაფიქრებდი რამდენიმე ჩვენს მკითხველს, რომელიც ვიცი, რომ ეკლესიურად ცხოვრობს და ერთგული



მრევლია. მათაც ანალოგიური მდგომარეობა აღმინერეს. დაფიქრდი, არ მივცეთ მსგავსი მართებული მიმართება მსგავსი თემატიკის წერილების ბეჭვდა გავაგრძელოთ. მაგრამ,

სი მასალები და სურათები, მაშინ ქრისტიანობის პროპაგანდა როგორ მოვახერხოთ!? როცა წერილს შესაბამის სურათს ვურთავთ, ამით ხომ ვცდილობთ, ამავეთან ერთად ხატწერის ნიმუშსაც იცნობდეს ჩვენი მკითხველი!? დარწმუნებული ვარ, ჩვენს გაზეთში ნაკითხული ამ მასალების შემდეგ არაერთი ადამიანი ჩაფიქრებია თავისი ცხოვრების წესს, შეუცვლია იგი და უფლის გზას შესდგომია. ამიტომ, მართებულად მიმაჩნია მსგავსი თემატიკის წერილების ბეჭვდა გავაგრძელოთ. მაგრამ,

ნაირა ბორაშვილი.


პატრიარქმა საღვდელმოებას ხარისხი აუმაღლა

უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპარქიის სამღვდლოება დააჯილდოვა.

პატრიარქმა 12 იანვარს, თბილისის წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში, საღმრთო ლიტურგიაზე, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოს მელქისედეკის წარდგინებით არქიმანდრიტი დემეტრე თეთრუაშვილი დააჯილდოვა მეორე ჯვრის ტარების უფლებით, ილუმენი ონოფრე ნულაძე აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში და დაჯილდოვდა მიტრის ტარების უფლებით.

ამას გარდა, დეკანოზი გაბრიელ ბენიაიძე დაჯილდოვდა მიტრის ტარების უფლებით, ხოლო მღვდელი პეტრე ხუმარაშვილი და მღვდელი ზაქარია ყველაშვილი აყვანილ იქნენ დეკანოზის ხარისხში და დაჯილდოვდნენ ოქროს ჯვრის ტარების უფლებით.

ასევე, მეუფე მელქისედეკმა ეპარქიაში რამდენიმე მორჩილი ბერად აღკვეცა.



რაგდენიმა ქვირაში მამა გაბრიელის საფლავს გახსნიან

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პრესმდივნის მიქაელ ბოტკოველის განცხადებით, 3-4 კვირაში მამა გაბრიელის საფლავს გახსნიან და წმინდანის ნეშტს

საზეიმო ვითარებაში სამთავროს ფერისცვალების დედათა მონასტრის ეზოდან მონასტერში გადაასვენებენ. მამა მიქაელი დედა პარასკე-

ვას საცხოვრებელი კელიის დემონტაჟის ფაქტსაც გამოხმაურდა აღნიშნა, რომ დედა პარასკევას კელია მამა გაბრიელის გადასვენებისთვის საჭირო სამუშაოების დროს აიღეს. თუმცა, მისი თქმით, დედა პარასკევა ისევ მონასტრის ტერიტორიაზე იცოვრებს და ის გაურკვევლობა, რაც კელიის აღების ფაქტმა გამოიწვია, უსაფუძვლოა.

„იგეგმება მამა გაბრიელის ცხედრის გადასვენება სამთავროს ფერისცვალების დედათა მონასტერში. მოხდება სარკოფაგის გახსნა, ამოსვენება და საზეიმო ვითარებაში მისი გადასვენება ფერისცვალების დედათა მონასტრის მთავარ ტაძარში. ამ საკითხთან დაკავშირებით უწმინდესის მიერ შექმნილია სინოდის წევრებით დაკომპლექტებული კომისია. გარკვეული

სამუშაოები უკვე დაწყებულია და კელიის დემონტაჟიც ამ საკითხთან იყო დაკავშირებული. ამან ერთგვარი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. დედა პარასკევა ვერ გარკვეა სიტუაციაში. ის იმყოფებოდა საპატრიარქოში, პატრიარქი გაესაუბრა და არანაირი კითხვები აღარ არის ამ საკითხზე. მონასტრის წევრია დედა პარასკევა და მონასტერში ყოფნის პრობლემა არ აქვს. ის მონასტრის ტერიტორიაზე, კელიაში იცოვრებს“, - განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ მიქაელ ბოტკოველმა.

ბოლო დღეების განმავლობაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მამა გაბრიელის საფლავთან დედა

პარასკევას კელია დაანგრეს და მონაზონს, რომელიც წმინდანის საფლავს 18 წელია უფლის, ლის ცის ქვეშ უნებს ყოფნა.

მამა გაბრიელი 1929 წელს დაიბადა და პირველი ადამიანი იყო, ვინც საბჭოთა კავშირის დროს ბერად აკურთხეს. სიკოცხლის უკანასკნელი წლები მან მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში გაატარა, სადაც 1995 წელს გარდაიცვალა.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდმა ბერი გაბრიელი 2012 წლის 20 დეკემბერს წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღედ 2 ნოემბერი დაწესდა.



შვილები: დალი, ლალი, ირინა მენტეშაშვილები. სიძეები: ნოდარ ხატიაშვილი, გივი გორჩიშვილი, რამაზ მარზაშვილი. შვილიშვილები: კახა ხატიაშვილი, ჯიმი გორჩიშვილი, რძალი ნესტან ლონდარიძე. მარიამ და გიორგი მარზაშვილები. შვილთაშვილები: გიორგი და ლემა გორჩიშვილები, და მერტი ბიკაშვილი იუნყებიან

შუშუნა გიკაშვილი-მენტეშაშვილის
გარდაცვალებას.
დაიკრძალა 4 თებერვალს, სოფელ სამრეკლოში.

მონატრება

ნელი გომენიაშვილი-ალუღიშვილი

ჩვენო საყვარლო ნელი, კეთილი, ყველას ხელის გამმართავო, ყველას გულის მესაიდუმლევე, ჯან-ლონით სავსე ქალო, კარგო მეზობელო. შენ თუ რაიმე დაგემართებოდა, არ გვეგონა. ძნელია შენი სამუდამო სასუფეველში წასვლა, ბევრი იბრძოლა შენმა ოჯახმა, შენმა ბესიკიმ და მერაბიმ თავი გადაგაკლეს, მაგრამ შენი საშველი აღარ იყო. ნელი, მეც და ციცოსაც ძალიან, ძალიან გვენატრები, სულ შენს ხსენებაში ვართ, შენს მოგონებაში.

ჩვენო ნელი, იძინე მშვიდად შენს სამუდამო სასუფეველში. სანთელ-საკმეველმა გაგინათოს გზა.

მეზობლები: ლეილა გულაშვილი, ციცო ფიროსმანიშვილი.

დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის XI-ბ კლასის მოსწავლეები და მშობლები თანაგრძნობას უცხადებენ კლასის ხელმძღვანელს ჯულიეტა პოპიაშვილს დედის

თინას
გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და სამეურვეო საბჭო თანაგრძნობას უცხადებს სკოლის დირექტორს ლალი მენტეშაშვილს დედის

შუშუნა მენტეშაშვილის
გარდაცვალების გამო.

თამაზი, ლალი, ხათუნა, ირმა აბაშიძეები თანაგრძნობას უცხადებენ ჯულიეტა და გივი პოპიაშვილების ოჯახებს დედის

თინა პოპიაშვილის
გარდაცვალების გამო.

თამაზი, ლალი, ხათუნა, ირმა აბაშიძეები თანაგრძნობას უცხადებენ სპარტაკი, ნათელა და ბონდო ლაპიაშვილებს

ოთარ ლაპიაშვილის
გარდაცვალების გამო.

როგორი სკოლის დირექტორი უინარჩუნებს სკამს?!

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დირექტორთა სასერტიფიკაციო გამოცდის შედეგების აქტყენებს. მინისტრთაბრუნების მიერ უკვე ხელმოწერილია ბრძანება, დირექტორების უფლებების მქონე იმ პირთა სიის დამტკიცების შესახებ, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს 2013 წლის საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის სერტიფიკაციის ეტაპი და მოიპოვეს დირექტორის უფლება.

ტესტირების შედეგად 60 პროცენტთან ბარიერის გადალახვისა და სამინისტროში გამართული გასაუბრების შემდეგ სერტიფიკირებულთა 921 კაციან სიაში დედოფლისწყაროელი პედაგოგებიც მოხვდნენ: მანანა ჭილიტაშვილი; მათა ხუნაშვილი; ნინო ტოკლიკიშვილი; რევაზ ბაიაშვილი; ლალი იაკობიშვილი; ნინო სულაშვილი-არაბული; ნელი აფციაური; მათა სიმონიძე.

სიაში ვერ შევიხივებთ პირველი საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ეთერ ოთარაშვილი. რამდენიმე თვის წინ ოთარაშვილი გაზეთ „შირაქთან“ აცხადებდა, რომ დირექტორის თვის ბრძოლას და ყველა ეტაპის ველოს გეგმავდა. ირკვევა, რომ პირველი საჯარო სკოლიდან სერტიფიკირება ვერ გაიარეს ვერც ოთარაშვილმა და ვერც სხვა პედაგოგებმა.

გამარჯვებულთა შორის სოფელ არბოშის საჯარო სკოლის დირექტორი მანანა ჭილიტაშვილიც მოხვდა. გაზეთი „შირაქი“ ჭილიტაშვილს დაუკავშირდა და სერტიფიკაციის თაობაზე კომენტარი სთხოვა.

„როგორც ცნობილია, ყოველ 6 წელიწადში უნდა განახლდეს სერტიფიკაცია. მე იგივე კონკურსი 2007 წელს გავიარე, ამიტომაც ახლაც ვაძლავლებული ვიყავი სერტიფიკაციის განმეხადებას. ამჯერადაც წარმატებით დაძლიე. ამ ეტა-

პზე ჩვენთვის ცნობილი არ არის როდის აირჩევა სამეურვეო საბჭო დირექტორს. სავარაუდოდ, ჯერ სააკუელაციო პერიოდი იქნება,“ - აღნიშნავს მანანა ჭილიტაშვილი. დირექტორების უფლება არბოშის სკოლის კიდევ ერთმა პედაგოგმა მათა ხუნაშვილმაც მოიპოვა, ამდენად, სავარაუდოდ, ჭილიტაშვილი და ხუნაშვილი კონკურსისას ერთმანეთს გაუწყვეტენ.



ცვლილებებია მოსალოდნელი ქალაქის მეორე საჯარო სკოლაშიც. „შირაქის“ ინფორმაციით, მოქმედ დირექტორს სერტიფიკაცი არ აქვს.

ქალაქ დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის ინფორმაციისა და ხელოვნების პედაგოგს ლალი იაკობიშვილი-ჩერქეზიშვილს ამავე სკოლის დირექტორის თანამდებობის დაკავება სურს. სასერტიფიკაციო გამოცდები მანაც წარმატებით დაძლია. ის ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ ვისაც მეორე სკო-

ლის დირექტორობა სურდა, არ გაუმართლა და სერტიფიკაცი ვერ აიღო. „ფიციკრობ კონკურსი არ უნდა მყავდეს. თუმცა, არ ვიცი, საბოლოოდ როგორ გადაინიშნებენ,“ - აღნიშნავს ლალი იაკობიშვილი.

ამჟამად ქალაქ დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობას ილაპარაკებენ ასრულებს. ის თანამდებობაზე მას შემდეგ დაი-

ბი იგეგმება სოფელ ხორნაბუჯის სკოლაშიც. გაირკვა, რომ აქამდე არსებული სერტიფიკაცი ვადა ამოწმებდა ხორნაბუჯის რუსულ-ქართული საჯარო სკოლის დირექტორს ლალი მენთეშვილსაც. მან სერტიფიკაციის ხელახლა გავლა სცადა, თუმცა უშედეგოდ. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სავარაუდოდ, ხორნაბუჯში ბრძოლას ნელი საბიაშვილი-აფციაური გეგმავს. სერტიფიკაციის მოპოვებას ხორნაბუჯის სკოლის პედაგოგი ლია ანდრიაშვილიც ცდილობდა, თუმცა არ გაუმართლა.

სულ მალე გამარჯვების საჯარო სკოლაშიც ახალი ხელმძღვანელი ეყოლება. სასერტიფიკაციო ბარიერი ვერც გამარჯვების სკოლის მოქმედმა დირექტორმა თამარ ბატიაშვილმა გადალახა. სოფლიდან სამი კანდიდატი იბრძოდა, თუმცა გამარჯვებულთა სიაში ამავე სკოლიდან 2011 წელს პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული პედაგოგი ნინო სულაშვილი-არაბული მოხვდა.

„გამარჯვების საჯარო სკოლაში ბიბლიოთეკარად ვმუშაობდი და დირექტორმა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ კადრად მოიაზრებოდა, პირველივე დღეებში გამათავისუფლა. მიზეზი ის იყო, რომ თავდაც მათემატიკის მასწავლებელია, მეც და ამიტომ ჩამოვიშორა. ეს პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება იყო, რადგან ერთხელ სკოლაში „ქართული ოცნებიდან“ ჩემი მეგობარი მენჯა, საერთო მეგობრის მეუღლის გარდაცვალება შემატყობინა და დირექტორს ეს არ ესაძმოვნა. მას შემდეგ სკოლა-

ში აღარ მიმუშავია, ახლა კანონი შეიცვალა და სერტიფიკირება გავიარე. ჩვენი სოფლიდან სამი კანდიდატი იყო, თავად მოქმედი დირექტორი, მე და ნინო ფიროსმანაშვილი. აღმოჩნდა, რომ მე წარმატებით გადავლახე. სამეურვეო საბჭო რამდენიმე კვირაში ამირჩევს, კონკურსი არ მყავს“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ნინო არაბული.

რაც შეეხება სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლას, გამოცდებში საკუთარი შესაძლებლობები მხოლოდ მოქმედმა დირექტორმა მათა ნასრაშვილმა მოსინჯა, თუმცა ჩაიჭრა. სერტიფიკაციის გავლა ამ სოფელში სხვა კანდიდატურას არ უცდია.

სოფელ სამთაწყაროს სკოლის დირექტორის თანამდებობის დაკავებას პედაგოგები ქეთევან ნადირაშვილი, მათა საკანელაშვილი და ადგილობრივი მკვიდრი თემურ ღუმბაძე ცდილობდნენ. სერტიფიკირება არ გაუვლია სამთაწყაროს სკოლის დირექტორს ვარლამ თავაშვილს. როგორც დირექტორმა „შირაქს“ განუცხადა, სამთაწყაროში მუშაობის სურვილი ოჯახური გარემოებების გამო აღარ ჰქონდა.

„2007 წელს მივიღე სერტიფიკაცია, თუმცა ამჯერად ოჯახური პირობების გამო აღარ გამოცდები გამივილია. ფიზიკურად ქალაქ დედოფლისწყაროში ვცხოვრობ, ოჯახი აქ მაქვს. სახლი იქაც მაქვს, მაგრამ ახლაც ვაზუხე სიარულით დავილაღე. ყოველდღიურად ასე შორს სიარული დამეთანხმებით, მართლაც რთულია, ძალიან დავილაღე,“ - აღნიშნავს ვარლამ თავაშვილი.

კონკურსანტები, რომლებმაც დირექტორთა სასერტიფიკაციო გამოცდები ვერ გადალახეს, მთავალი კვირიდან საპროტესტო აქციების დაწყებას გეგმავენ, ისინი განათლების სამინისტროს შენობის წინ შეიკრიბებიან.

ილია მარტყოფლიანი

შლოცავენ!

ვასიკო ჯაბოღნიშვილს!

ჩვენი ვასიკო, გილოცავთ დაბადების დღეს! მართალია, ჯერ მხოლოდ 20 წლის გახდა, მაგრამ უკვე მამა ხარ. დიდახანს იცოცხლე შენს ოჯახთან და პატარა საბავშვო ერთად. იყავ ბედნიერი. გილოცხლოს მშობლები- ნელი და ნოდარ (ცუცუნა) ტუსაშვილები, რომლებიც მხარში გიდაგანან ყოველთვის გაჭირვებისა თუ დაღვინების დროს.

სიყვარულით, პავლე-ვატი და ლუიზა ზურაბიშვილები.

ეთიონო ალადაშვილ-ხინაქის!

გილოცავთ ტყუპი შვილიშვილების-ზაზა და დავით ხინაქების დაბადებას. ახალშობილებს ვუსურვებთ, გაბრწყინებულ სამშობლოში სასახლო ვაჟყვაცები გაზრდილიყვნენ! უფალი ფარავდეთ მათ და მათ ოჯახს!

ენერგოდისტრიბუციის თანამშრომლები: მაია, თეა, შორენა, მარი, ხათუნა და ლიპა.

ყურადღება

გინდათ, არუქოთ თქვენს უფროსს სახელდობრივი კალამი და ამით გაიზარდოთ თქვენი ხელფასი?

ან გსურთ არუქოთ შეყვარებულს ბეჭედი სიყვარულის ასხნით? იქნებ უბრალოდ გინდათ დაიკმაყოფილოთ თავმოყვარეობა და სამუშაო მაგიდასთან დაკიდოთ ტრაფარეტი

წარწერით: „.....“ (სახელი, გვარი) საუკეთესო ადამიანი მსოფლიოში

გრაფიკა დაგეხმარებათ ამასში. გრაფიკის დაიტანს წარწერას ნებისმიერ მყარ ზედაპირზე, გრაფიკის ნყალობით უბრალო ნივთები შეიძენენ ექსკლუზიურობას, რაც მათ განსაკუთრებულ სიძვირფასესა და მიმზიდველობას შეჰმატებს.

გრაფიკა - (ფრანგულიდან) სპილენძზე, ფოლადზე, ხეზე კვეთას, სამკაულების ზედაპირზე მცირე გამოსახულების ამოტვიფრას ნიშნავს. გრაფიკა - მყარი ზედაპირის მქონე საგნებზე გამოსახულების, ორნამენტის წარწერის დატანის ტექნიკაა. გრაფიკის მსურველებმა მიაკითხეთ მისამართზე: დ/წყაროს სპორტდარბაზის ახალი შენობა- 10-დან 17სთ-მდე.



გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია: ლალი მხრიშვილი, ილია მარტყოფლიანი (ყურნალისტები); ელა ხარაშვილი (სტილისტ-მწერელი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მწეველი); მზინა ქანდაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ გუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბდონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს. „სამშობლოს“ სტამბაში.
რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 551 25-17-44 (რედაქტორი)
რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.